**საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**ეთიკის კომისია**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე**

**მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ფურელიანი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორები** – გ. მ., მ. კ., ი. კ., ნ. ა., მ. ძ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 15.10.2019

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 122/19

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ /სიითი №/

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ პ. შ.-ისათვის "ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2019 წლის 15 ოქტომბერს ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს გ. მ.-მ, მ. კ.-მ, ი. კ.-მ, ნ. ა.-მა, მ. ძ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ პ. შ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატ პ. შ. საჯარო სივრცეში განცხადებებით ეხმაურება გაუპატიურების მცდელობის საქმეს და ცინიკურად მოიხსენიებს, შეურაცხყოფას აყენებს ძალადობის მსხვერპლს, აკნინებს დანაშაულის მნიშვნელობას და დიდ უპატივცემულობას გამოხატავს ისეთი ფუნდამენტური ღირებულებების მიმართ, როგორიცაა: ადამიანის თავისუფლება და თანასწორობა. ასევე, ადვოკატი შეურაცხყოფას აყენებს ყველას, ვინც აკრიტიკებს მის განცხადებას. ადვოკატის მიერ გამოქვეყნებული ფრაზებია: „რა უბედურებაა კი მაგრამ... რა ბრიჯიტ ბარდო ესა მყავს, ყველა რომ ამ შავ-ყვითელა სარკინოზზე ძალადობს.. რა აბია ასეთი ნეტავ..“; „ეს შავ-ყვითელა სარკინოზი.. რა აბია ეგეთი, ყველა ამაზე რომ ძალადობს?“; „შენი დედას შევეცი მე ნ.“.

1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატის პროფესია არა მხოლოდ პრივილეგია, არამედ დიდი პასუხისმგებლობაცაა საზოგადოების წინაშე. კანონმდებლობა სპეციალური კვალიფიკაციის მქონე პირებს ანიჭებს სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილებას და ადვოკატი, როგორც პროცესის მონაწილე სხვა მხარეები, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბების პროცესში.

1.4 საჩივრის ავტორთა განმარტებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ადვოკატის კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა ადვოკატის საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპია. საჩივრის ავტორები განმარტავენ, რომ პროფესიის მიმართ პატივისცემისა და ნდობის გარემოს შექმნისკენ მოუწოდებს სახელმწიფოს, გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა საქმიანობის შესახებ. მათი განმარტებით, ამავე საკითხს ეხმაურება ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2000) 21.

1.5 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატის მიმართ მაღალ ინტერესს განაპირობებს რიგი გარემოები. ადვოკატი ფლობს ისეთ ცოდნას, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ არის; ადვოკატი წარმოადგენს კლიენტს სასამართლოს წინაშე და იცავს მის თავისუფლებას, კლიენტის სხვა მნიშვნელოვან ინტერესებს.

1.6 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ არაერთხელ გაუსვა ხაზი ადვოკატთა მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას, როგორც უმნიშვნელოვანეს მიზანს და მათი განმარტებით, ნდობა მხოლოდ ადვოკატ-კლიენტს შორის ნდობას არ გულისხმობს, არამედ უფრო ფართოდ უნდა განიმარტებოდეს და ფართო საზოგადოების ნდობასაც უნდა გულისხმობდეს ადვოკატების მიმართ. მათი განმარტებით, სწორედ აღნიშნულის საფუძველზე მიმართეს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და ითხოვენ ასოციაციის მიერ შესწავლულ იქნეს ადვოკატ პ. შ.-ის ბოლოდროინდელი განცხადებები.

1.7 საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათ წარმოადგინეს ადვოკატის მიერ გამოქვეყნებული მოსაზრებები, რაც ცდება ადვოკატის „კარგ რეპუტაციას“, „იურიდიული პროფესიის პატივისცემას“, კანონით დადგენილ მიზნებს და მხოლოდ საპირისპიროს ამტკიცებს.

1.8 2020 წლის 28 იანვრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, საჩივრის ავტორებმა, დამატებით განმარტეს, რომ მიუხედავად იმისა, ადვოკატი პ. შ. არ იყო საქმეში ჩართული პროფესიული კუთხით, ის გამოეხმაურა ამ საქმეს და ახალგაზრდა ქალბატონის მიმართ გამოხატა უხეში, არაპროფესიული დამოკიდებულება, სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა სტატუსი შეურაცხმყოფელი ფრაზებით.

1.9 საჩივრის ავტორთა განმარტებით, სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, აქტიურად არიან ჩართული სტუდენტებისათვის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის როლის და ღირებულების შესწავლაში. ამ შემთხვევაში საჩივრის ავტორის ამპლუაში წარმოდგენილნი არიან როგორც საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც აკვირდებიან ადვოკატთა საქმიანობას. არც ერთი მათგანი არ არის ადვოკატი და მათ სხვა კუთხით ამ საქმესთან შემხებლობა არ აქვთ.

1.10 საჩივრის ავტორებმა განმარტეს, ადვოკატებს, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებს, ამავე დროს საზოგადოების წინაშე აქვთ ვალდებულებები. ადვოკატი

ვალდებულია იყოს კეთილსინდისიერი, ჰქონდეს კარგი რეპუტაცია და პატივი სცეს პროფესიას, ამ პრინციპებით არის „შებოჭილი“ ადვოკატის პროფესიული საქმიანობა, ანუ ადვოკატმა უნდა იმოქმედოს ეთიკური ღირებულებებით დადგენილ ფარგლებში. საზოგადოებას აქვს ნდობა ადვოკატის მიმართ, რაზეც არის დაფუძნებული ადვოკატის დამოუკიდებლობა.

1.11 მომჩივანთა პოზიციით, ადვოკატი ასეთი გამონათქვამებით არ უნდა შევიდეს საჯარო დისკუსიაში. კანონში მითითებული „კარგი რეპუტაცია“ არის საჯარო ცნება და გულისხმობს ადამიანის სახელს, თუ როგორ იცნობს მას საზოგადოება. ასევე, ამ შემთხვევაში საგულისხმოა ნდობის პრინციპი ადვოკატსა და საზოგადოებას - ადვოკატის პოტენციურ კლიენტებს შორის. განსახილველ შემთხვევაში ადვოკატის გამოხატვა არ ემსახურება სხვა მიზანს, გარდა პირის დამცირებისა.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა პ. შ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2019 წლის 21 ოქტომბერს, სადაც განმარტა, რომ საჩივარი არის უსაფუძვლო, უკანონო, დაუსაბუთებელი და შესაბამისად, არ უნდა დაკმაყოფილდეს. პ. შ.-ის განმარტებით, მომჩივანთაგან არც ერთს იცნობს, შესაბამისად არც ერთ მათგანთან არაფერი აკავშირებს. საჩივარში მითითებული არცერთი საკითხის შესწავლა და გამორკვევა არ არის ეთიკის კომისიის განსჯადი, ვინაიდან ეს არის დავა კერძო პირთა შორის და არცერთ შემთხვევაში შეხებაც კი არ აქვს საადვოკატო მოღვაწეობასთან.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორთა მიერ სადაოდ ქცეული შეფასებებიდან, მას მხოლოდ ერთი ეკუთვნის, კერძოდ: „ეს შავ-ყვითელა სარკინოზი... რა აბია ეგეთი ნეტავ, ყველა ამაზე როგორ ძალადობს“. რაც შეეხება საჩივარს თანდართულ კონტექსტიდან ამოგლეჯილ სხვა ფრაზებს, ისინი მას არ ეკუთვნის.

2.3 ადვოკატმა განმარტა, რომ მას გააჩნია სოციალურ ქსელში საკუთარი გვერდი სადაც ძალიან ხშირად აფასებს ქვეყანაში მიმდინარე ფაქტებსა და მოვლენებს, ასევე ცალკეულ პირებს, მათ ქცევებს. თუმცა ასეთი განცხადებები მისი მხრიდან არცერთ შემთხვევაში არ კეთდება, არც როგორც ადვოკატის და არც როგორც ადვოკატთა ასოციაციის სახელით. ადვოკატის განმარტებით, მას აქვს ორი ოფიციალური გვერდი როგორც „ადვოკატ პ. შ.-ის ოფიციალური გვერდი“, ასევე „პ. შ.-ის იურიდიული კლინიკა“ და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით განცხადებები კეთდება ამ გვერდებიდან. მისი განმარტებით, აღნიშნული მოვლენები მას, როგორც ადვოკატს, არ უკავშირდება.

2.4 საჩირის ავტორის განმარტებით, იგი არ არის გ. მ.-ის, მ. კ.-ს, ი. კ.-ის, ნ. ა.-ის, მ. ძ.-ის და ასევე ნ. ბ.-ის კანონიერი ინტერესების დამცველი ადვოკატი და მათ წინაშე პროფესიული ვალდებულებები არ გააჩნია, არც ამ პიროვნებების და არც იმ ქალბატონის მიმართ, რომლის გაუპატიურებასაც საკრებულოს დეპუტატი ცდილობდა, მისივე თქმით. ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივარში მითითებული არც ერთი გარემოებები არ უკავშირდება მას, როგორც ადვოკატს და სახეზეა რიგითი მოქალაქის ყოფიერება, კერძოდ მისი, როგორც რიგითი მოქალაქის მხრიდან შეფასებების გაკეთება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საჩივარში მითითებულ მოსაზრებას „ადვოკატი პ. შ. ყველას ლანძღავს, ვინც კი მას აკრიტიკებს“ ასეთი გარემოებების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საჩივარს თან არ ერთვის.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორების მითითება, ეთიკის კომისიამ უფრო ფართოდ განმარტოს ნდობის პრინციპი, არასწორი და უსაფუძვლოა, რადგან საადვოკატო საქმიანობა მოიცავს ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობას, სადაც უმთავრესია კლიენტის ნდობის ფაქტორი ადვოკატის მიმართ. ადვოკატის განმარტებით, საზოგადოების ნდობა ადვოკატის მიმართ, საჩივარში მითითებული კანონისაგან არსებითად განყენებულია და არ ჯდება კანონის არც ერთი მუხლის კონტექსტში.

2.7 ადვოკატმა ახსნა-განმარტებაში დააყენა შუამდგომლობა კოლეგიის წევრის, ი. კ.-ს აცილების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ ის არის ადვოკატთან კატასტროფულად დაპირისპირებული და კოლეგიის წევრი ვერ იქნება მის მიმართ ობიექტური.

## II სამოტივაციო ნაწილი

**3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი პ. შ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 გ. მ.-მ, მ. კ.-მ, ი. კ.-მ, ნ. ა.-მა, მ. ძ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართეს 2019 წელს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

**4. შემაჯამებელი დასკვნა:**

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9 მუხლის მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

**5. სამართლებრივი შეფასება:**

**5.1 კოლეგიის წევრის აცილების საკითხი**

5.1.1 საპროცესო კოლეგია, დებულების 12.3 მუხლის საფუძველზე, 2020 წლის 28 იანვარს ი. კ.-ს მონაწილეობის გარეშე გაეცნო ადვოკატის პ. შ.-ის მიერ წარმოდგენილ ი. კ.-ს აცილების განცხადებას და მიიჩნევს, რომ საპროცესო კოლეგიის წევრი, ი. კ. არ უნდა იქნეს აცილებული შემდეგ გარემოებათა გამო.

5.1.2 კომისიის წევრის აცილების საფუძვლები განსაზღვრულია დებულების მე-11 მუხლის პირველ ნაწილში: „დისციპლინურ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ეთიკის კომისიის ის წევრი, რომელიც: ა) თვითონ არის მხარე დისციპლინურ წარმოებაში; ბ) დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია (ახლო ნათესავად ამ დებულების მიზნებისთვის ითვლება კანონისმიერი მემკვიდრე); გ) იყო საპროცესო კოლეგიის წევრი, რომელმაც განიხილა დისციპლინური საქმე; დ) სახელშეკრულებო ან პირად ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე მხარესთან ან მის წარმომადგენელთან; ე) არსებობს სხვა გარემოებები, რომელიც სავარაუდოდ ხელს შეუშლის

საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად განხილვას.“ რადგან სახეზე არ გვაქვს 11.1 მუხლის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევა, კომისიამ ადვოკატის შუამდგომლობა განიხილა დებულების 11.1 მუხლი „ე“ ქვეპუნქტის ფარგლებში.

5.1.3 ეთიკის კომისიამ დისციპლინური საქმე უნდა განიხილოს მიუკერძოებლად. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მიუკერძოებლობა როგორც წესი ნიშნავს საქმისადმი წინასწარი დაინტერესებისა და ტენდეციურობის გამორიცხვას და იგი ფასდება სუბიექტური და ობიექტური ტესტის მიხედვით[1].

5.1.4 „სუბიექტური კატეგორიის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს საქმის განმხილველი კოლეგიის წევრის პირად დაინტერესებას საქმის მიმართ. ევროსასამართლოს პრაქტიკით აღიარებულია პრეზუმფცია, რომ კოლეგიის წევრი არ არის სუბიექტურად მიკერძოებული. ეს გამომდინარეობს სამართალურთიერთობებში მონაწილე პირთა კეთილსინდისიერების პრეზუმფციიდან. ივარაუდება, რომ კოლეგიის წევრი აიცილებდა საქმეს, სახეზე რომ თვლიდეს თავს მიკერძოებულად. შესაბამისად საპირისპიროს მტკიცების ტვირთი არის აცილების დამყენებელ პირზე. ხოლო ობიექტური კატეგორიის მიხედვით შეფასებული უნდა იქნეს ფაქტები, რომლებმაც შესაძლებელია გონივრული დამკვირვებლის თვალში წარმოშვას ეჭვი კომისიის წევრის მიკერძოებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ, უნდა შეაფასოს საქმის განხილვის პროცესი და საპროცესო კოლეგიის წევრის დამოკიდებულება საქმის მონაწილე მხარეთა და საქმის მიმართ“(ეთიკის კომისიის 2018 წლის 01 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N098/18) .

5.1.5 შუამდგომლობის დაყენებისას, ადვოკატს არ დაუსაბუთებია, რაში გამოიხატება მისი და კოლეგიის წევრის ი. კ.-ს დაპირისპირება და რატომ არ იქნება აღნიშნული კომისიის წევრის საქმის განხილვისას ობიექტური. კოლეგიას არ აქვს კოლეგიის წევრის ი. კ.-ს მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. შესაბამისად, ადვოკატ პ. შ.-ის შუამდგომლობა კომისიის წევრის აცილების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

5.2 საჩივრის ავტორებმა გამოხატეს პრეტენზია ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ, ადვოკატის მიერ, სოციალური ქსელის Facebook-ის მეშვეობით, გახმაურებულ საქმეზე გამოქვეყნებულ მოსაზრებასთან და შემდეგ, გამოქვეყნებულ კომენტარებთან დაკავშირებით. კონკრეტულად, მომჩივანთა პოზიციით, ადვოკატისათვის შეუფერებელია მსგავსი ფრაზების გაჟღერება: „რა უბედურებაა კი მაგრამ... რა ბრიჯიტ ბარდო ესა მყავს, ყველა რომ ამ შავ-ყვითელა სარკინოზზე ძალადობს.. რა აბია ასეთი ნეტავ..“; „ეს შავ-ყვითელა სარკინოზი.. რა აბია ეგეთი, ყველა ამაზე რომ ძალადობს?“; „შენი დედას შევეცი მე ნ.“.

5.2.1 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლით დადგენილი დანაწესი. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ,,ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის

[1] Micallef v Malta: ECHR 15 Oct 2009., paragraph 93, dls Off Human Rights

თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე“.

5.2.2 განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა - საჩივრის ავტორთაგან ადვოკატი არ არის არც ერთი; ასევე, სახეზე არ არის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევები. შესაბამისად, ეთიკის კომისიას საჩივრის ავტორთა პრეტენზია შეაფასა დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ფარგლებში.

5.2.3 დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი იმ პირს ანიჭებს ეთიკის კომისიისათვის მიმართვის უფლებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. კომისიის პრაქტიკით, აღნიშნული უფლება გულისხმობს იმ პირის უფლებამოსილებას, რომლის წინაშეც ადვოკატს გააჩნია პროფესიული ვალდებულებები და პირს შესაძლოა გააჩნდეს პრეტენზია ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მისი შესრულების ხარისხის შესაბამისად. კოლეგიამ, ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ ადვოკატ პ. შ.-ს საჩივრის ავტორებთან სადავო საქმესთან არ აქვს პროფესიული შემხებლობა შესაბამისად საჩივრის ავტორები არიან არაუფლებამოსილი პირები.

5.2.4 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად.“

5.2.5 არსებული რეგულაციის ფარგლებში, კომისია მოკლებულია შესაძლებლობას გაიზიაროს საჩივრის ავტორთა დასაბუთება საჩივრის არსებითად განსახილველად დაშვებასთან დაკავშირებთ, შესაბამისად ვერ შეაფასებს საჩივრის ავტორთა პრეტენზიას ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ.

5.2.6 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N122/19 ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ /სიითი #/ შეწყდეს

   დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ფურელიანი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/